



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში

სტაჟირების გავლის წესი

თავი 1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტაჟირების გავლის წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟირების გავლის წესსა და პირობებს.
2. სტაჟირების მიზანია შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და სრულყოფა, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.

თავი II. სტაჟირების კომისია

მუხლი 2.

1. უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით, რომელსაც ატარებს უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრის (შემდგომში ცენტრი) ხელმძღვანელის მიერ შექმნილი სტაჟირების კომისია.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის ხელმძღვანელი.
3. ინფორმაცია კონკურსის შესახებ 2 კვირით ადრე განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში (უნივერსიტეტის ფეისბუქგვერდი) და საინფორმაციო სტენდებზე.

4. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად - ტესტირების (წერილობითი) და ზეპირი (გასაუბრების) ფორმით. კონკურსის ფორმას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის წარდგინებით ადგენს ცენტრის ხელმძღვანელი.
5. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარისგან, კომისიის წევრის, მდივნის და იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისაგან, სადაც უნდა გაიაროს სტაჟირება პირმა;
6. კომისიის მდივანი აწარმოებს კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას (გარდა სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაციისა), ადგენს ოქმებსა და სხვა შესაბამის მასალას.
7. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და დამსწრე წევრები.

თავი III. სტაჟირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

მუხლი 3.

1. სტაჟიორთა მიღების პროცედურებსა და სტაჟირების გავლას საერთო კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი (შემდგომში ცენტრი);
2. ცენტრი უზრუნველყოფს კონკურსის მოსამზადებლად აუცილებელი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, კანდიდატთა განცხადებების მიღებას, მათი საბუთების შემოწმებას და შესაბამისი დოკუმენტაციის კომისიისთვის წარდგენას.

თავი IV. კონკურსის გავლა, სტაჟიორის მიღება და გავლის ვადები

მუხლი 4.

1. სტაჟიორად მიიღება პირი, რომელიც იღებს უნივერსიტეტის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურებისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამის განათლებას, სადაც უნდა გაიაროს სტაჟირება.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის მეორე, მესამე და მეოთხე კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებს.
3. შეჩერებული/შეწყვეტილი სტატუსის მქონე პირი სტაჟირებაზე არ მიიღება.

მუხლი 5.

1. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტაჟიორობის კანდიდატმა დეპარტამენტში უნდა წარადგინოს:
 - ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) CV ქართულ ენაზე;

დ) ცნობა შესაბამისი დეკანატიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ე) უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის რეკომენდაცია.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებისა და საბუთების შემოწმების ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ცენტრის ხელმძღვანელი. აღნიშნული ვადები მიეთითება განცხადებაში კონკურსის გამოცხადების შესახებ.

მუხლი 6.

1. გადაწყვეტილებას კონკურსის წარმატებით გავლის შესახებ იღებს კომისია.

2. კომისიის წარდგინების საფუძველზე, რექტორი იღებს კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც ფორმდება ბრძანებით. ბრძანებაში მიეთითება უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, სადაც დაინიშნება სტაჟიორი, ასევე, სტაჟირების ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს სტაჟირების გავლის პროცესს. ხელმძღვანელად ინიშნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მუხლი 7.

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება 1-დან 6 თვემდე ვადით.

2. სტაჟირების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი სტაჟირების ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე და გამოცემს ბრძანებას სტაჟირების ვადის გაგრძელების შესახებ. სტაჟირების ვადა, არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

3. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ მიიღება შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) სტაჟირების შედეგების დადებითად შეფასების შესახებ;

ბ) სტაჟირების შედეგების უარყოფითად შეფასების შესახებ.

4. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის სერტიფიკატი, რომლის ფორმას შეიმუშავებს ცენტრის ხელმძღვანელი.

თავი V. სტაჟირების პირობები

მუხლი 8.

1. სტაჟიორი ვალდებულია:

ა) სტაჟიორად დანიშნიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა საფუძვლიანად გაეცნოს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, სტაჟირების გავლის წესსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა კანონიერი დავალება, რომელიც მას დაეკისრება ხელმძღვანელის მიერ;

გ) შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების გაცნობის შემდეგ სტაჟიორი ვალდებულია ხელმოწერით დაადასტუროს მისი გაცნობა, რომელიც თან ერთვის პირად საქმეს.

მუხლი 9.

1. სტაჟირების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტაჟირების პერიოდში არასაკმაყოფილო მიზეზით 3 (სამი) დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა;

ბ) დავალებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რაც დასტურდება სტაჟირების ხელმძღვანელის მიერ დასაბუთებული დასკვნით;

გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევა.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი საკუთარი ინიციატივით ან სტაჟიორის ხელმძღვანელის წინადადების საფუძველზე.

მუხლი 10.

1. დავები, რომლებიც წარმოიშობა კონკურსთან დაკავშირებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.